# საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეს მიეძღვნა

5 მაისს ფართოდ აღინიშნა საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღე. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა, გამომცემლობათა, პოლიგრაფიულ საწარმოთა მუშაკები. საბჭოთა პრესის ამოცანების შესახებ სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი, რომელმაც ილაპარაკა საბჭოთა პრესის მნიშვნელობაზე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, გაზეთ „პრავდის" დიდ შემოქმედებითს საქმიანობაზე, მის დიდ წვლილზე საბჭოთა მშრომელთა დარაზმვისთვის, კომუნიზმის დიად ამოცანათა შესრულებისთვის ბრძოლაში. შემდეგ ნ. პოდგორნი აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „პრავდის" ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ნ. პოდგორნიმ გაზეთ „პრავდის" დროშას ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიამაგრა.

* * *

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღესა და გაზეთ „პრავდის" 60 წლისთავს მიეძღვნა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გამართული სხდომა, რომელიც საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყვეს.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ი. შევარდნაძემ. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საზეიმო სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დ. გოგოხია.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 89 (4599)

1972 წ. 7 მაისი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## პირველი გამარჯვებული — ტაკაში

5 მაისის საღამოს ბერლინის ცენტრალური მოედანი — ალექსანდერპლაცი უზარმაზარ სტადიონს ჰგავდა. აქ თავი მოიყარა გდრ-ის დედაქალაქის 120 ათასმა მცხოვრებმა, რათა მშვიდობის XXV საიუბილეო ველორბოლის მონაწილეებს მისალმებოდა. ამ შეჯიბრების ტრასა, როგორც ცნობილია, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გზებზე გადის.

პირველი ეტაპის სტარტიდან ელექტრონით გაჩირაღდნებულ 9-კილომეტრიან დისტანციაზე 102 მრბოლელი 60-60 წამის შემდეგ გადიოდა. ისინი მაყურებელთა ცოცხალ დერეფანში მიჰქროდნენ ბერლინის ცენტრალურ მაგისტრალზე კარლ მარქსის ხეივანში. დისტანცია ყველაზე სწრაფად გადალახეს ბუდაპეშტელმა მექანიკოსმა ა. ტაკაშმა და ლენინგრადის არმიელმა ვ. ნელიუბინმა. მათი შედეგია 11.51 (საშუალო სიჩქარე — 45,5 კმ საათში).

ეტაპზე გამარჯვება მიეკუთვნა 26 წლის ტაკაშს, რომელმაც საბჭოთა სპორტსმენზე ადრე აიღო სტარტი. შეჯიბრების პირობების მიხედვით, ნელიუბინი II ადგილზე დარჩა.

III ადგილი მიეკუთვნა მ. შიფნერს (გდრ) — 11.52. ასეთივე შედეგი აქვს მის თანაგუნდელ ვ. ვეზემანს, წაგრამ სტარტი ამ უკანასკნელმაც გვიან აიღო.

მშვიდობის ველორბოლის პირად ჩათვლაში ორგზის გამარჯვებული, პოლონელი რ. შურკოვსკი ამჯერად მეშვიდე იყო — 11.57. საბჭოთა სპორტსმენებიდან 25 უძლიერესს შორის მოხვდნენ ნ. გორელოვი (მოსკოვის ოლქი) — IX ადგილი — 12.00; ი. მოსკალიოვი (კიშინიოვი) — XI — 12.01; ი. დმიტრიევი (მოსკოვი) — XII — 12.03; ვ. ბელოუსოვი (კიშინიოვი) — XIV — 12.03.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდეს უნგრელებმა — 34.57. II ადგილზე არიან სსრ კავშირის მრბოლელები — 35.07, III კი გდრ-ის ნაკრები — 35.25.

გავახსენებთ, რომ შეჯიბრება ჩათვლის უწინდელი სისტემით ტარდება: გუნდში სტარტის აღება კვლავ 3-6 სპორტსმენს შეუძლია, ჩათვლაში კი ყოველ ეტაპზე თითოეული გუნდის სამი საუკეთესო შედეგი შედის.

ნ. ბაბიკინი.
(საკდესის კორ.).

ბერლინი.

## „ოლიმპიურ სარბიელზე"

ჰაიდენჰაიმი (გფრ), 5 მაისი. ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების სახელმწიფოში 9 ქვეყნის — სსრ კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, უნგრეთის, შვეციის, ფინეთის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატებმა მოსინჯეს ძალები. როგორც ხედავთ, აქ იყვნენ ჩვენს პლანეტაზე უძლიერესი გუნდები, მაგრამ ამჯერად პირველობა სახელგანთქმულ უნგრელებსა და საბჭოთა სპორტსმენებს კი არ ხვდათ, არამედ მასპინძელთა გუნდს, რომელიც უაღრესად დიდი პასუხისმგებლობით ემზადება მომავალი ოლიმპიადისთვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა გუნდის ლიდერმა, მსოფლიო ჩემპიონმა ბ. ონიშჩენკომ, რომელიც ამას წინათ საფრანგეთში ასპარეზობისას დაშავდა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ აღიდგინა ჩვეული ფორმა.

I ადგილი დაიკავა გფრ-ის მეორე ნაკრებმა (ესერი, ტადე და რესლერი), რომელმაც 15479 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა უნგრეთის გუნდი (15139), ხოლო III — სსრ კავშირის ნაკრები (14854).

საბჭოთა გუნდში საუკეთესო იყო ლ. ივანოვი — 5045 ქულით მან საერთო V ადგილი დაიკავა. ონიშჩენკო VIII ადგილზე გავიდა (4928). ვ. სილიახინის ქულათა ჯამია 4881.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ა. ბალცომ (უნგრეთი) — 5285 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს ესერმა (5276) და უნგრელმა ბაკომ (5074).

## ფავორიტი ჩამორჩა

როგორც ვიტყობინებოდით, კიევში გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს მშვილდოსანთა ტურნირი, რომელშიც ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებიც მონაწილეობდნენ. საქართველოს სპორტსმენებიდან სარბიელზე გამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი, თბილისელი ლ. ასატუროვა, მსოფლიო რეკორდსმენი, ქუთაისელი ქ. ლოსაბერიძე და მისი თანაქალაქელი გ. რიჟამაძე.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან საუკეთესო შედეგი მოიპოვა ლოსაბერიძემ. 30 მეტრიდან სროლაში მან 629 ქულა მოაგროვა, 50 მეტრზე — 558, 60 მეტრზე — 758, 70 მეტრზე — 542. ლოსაბერიძე „მ-2" ვარჯიშში 2306 ქულით V ადგილზე გავიდა, რაც მის მიერვე პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო ტურნირში მოპოვებულ შედეგს (2278 ქულა) საგრძნობლად აღემატება.

ასატუროვამ უხეიროდ იასპარეზა — 2155 ქულა მოაგროვა და უძლიერესთა ათეულს მიღმა დარჩა.

დევისის თასზე

## კორტზე... წვიმს

ყოველი მატჩის მსვლელობას, რა სახეობაშიც უნდა ტარდებოდეს იგი, გარკვეული კანონზომიერება განაპირობებს. მაგრამ ხანდახან ყოველგვარი კანონზომიერება ირღვევა. სწორედ ასე მოხდა გუშინწინ „დინამოს" საჩოგბურთო სტადიონის ცენტრალურ კორტზე, დევისის თასის გათამაშების პროგრამით სსრ კავშირისა და უნგრეთის ჩოგბურთელთა შეხვედრებში. ჯერ ერთი, თბილისური მაისი ერთობ გაჭირვეულდა, მზიანი შუადღე შხაპუნა წვიმამ შეცვალა, მერე ისევ ინათა, ბოლოს კი კვლავ წვიმამ შეაწყვეტინა თამაში ჩოგბურთელებს... როცა ისევ გამოიდარა, მერე ბინდმა აღარ აცალა თამაშის დამთავრება მეტრეველსა და ბარანიის.

ყოველივე ამან ასპარეზობის მონაწილეთა სათამაშო განწყობაზე იმოქმედა. მაგალითად, წვიმით განოწყვეულმა გაუთვალისწინებელმა შესვენებამ ვერაფერი სამსახური გაუწია ვ. კოროტკოვს, მაგრამ მის მეტოქეს პ. სიოკეს კი სული მოათქმევინა. როცა ამ მეტოქეების შეხვედრა განახლდა, კოროტკოვს პირველი ხელი მოგებული ჰქონდა (6:4), მაგრამ მეორეს აგებდა (3:5). სიოკემ სწრაფად მიიყვანა ეს ხელი გამარჯვებამდე (6:3) და მომდევნო პარტიებშიც უფრო მოხერხებულად თამაშობდა. საბოლოო გამარჯვებისთვის საჭირო ორი პარტიის მოგება (6:2, 6:1) მან ძალიან იოლად შეძლო.

რა იყო ეს, კანონზომიერება? საქმე ის არის, რომ სიოკე ცაცია ხელით თამაშობს, რაც გარკვეულ უპირატესობას აძლევს. სამაგიეროდ, ამ დღეს სიოკეს მარჯვენა კუთხეში ბურთის მიღება უჭირდა, მაგრამ კოროტკოვმა რატომღაც ეს სისუსტე ვერ გამოიყენა: იშვიათად უმიზნებდა ბურთს სწორედ მარჯვენა კუთხეში და ცაცია მოთამაშის წისქვილზე წყალს ასხამდა.

ყოველივე ეს ცალკეული დეტალებია. ამ მატჩის შედეგის უპირველესი კანონზომიერება კი ის გახლავთ, რომ სიოკემ უფრო ძლიერ, ტექნიკურ, ტაქტიკურად სწორად მოაზროვნე ჩოგბურთელად გაგვაცნო თავი.

მეტრეველი რომ საბჭოთა ჩოგბურთში საუკეთესოა და ჯერჯერობით მას ჩვენში ოდნავადაც ვერავინ უახლოვდება, ამას რაღა ლარი და ხაზი უნდა. მაგრამ შეცდომა იქნება ერთი ჩოგბურთელისგან მუდამ გამარჯვებას მოითხოვდე და მხოლოდ მის იმედზე დააგდო გუნდური შეჯიბრების ბედი. თუმცა სჯობს ამ საკითხზე მსჯელობა მახლობელი მერმისისთვის გადავდოთ, ახლა კი მეტრეველისა და ბარანიის შეხვედრის მსვლელობას მივყვეთ.

მეტოქეებმა პირველი ხელი ძირითადად შორი პოზიციებიდან გაითამაშეს. ერთიც და მეორეც ერიდებოდა ბადესთან გასვლას. მეტრეველს მაინც არ გამოეპარა ორი მოხერხებული მომენტი, ორჯერ გავიდა ბადესთან და ორივეჯერ ქულა აიღო. საბოლოოდ, შორი პოზიციებიდან ბრძოლაში ქართველი ჩოგბურთელი აღმოჩნდა უძლიერესი და პირველი პარტიაც მის სასარგებლოდ დამთავრდა (6:3).

მერე ბარანიიმ მოიგო პარტია (6:2) და მდგომარეობა გაათანაბრა. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ბარანიის ეს მოგება დაუმსახურებელი იყო. ეს კია, რომ მეტრეველი შედარებით დუნედ მოქმედებდა, ნერვიულობდა. რამდენიმეჯერ კინაღამ საბოლოოდ გამოკიდა წონასწორობიდან. რა იყო მიზეზი? მეტრეველის ბევრი ქომაგისათვის ცნობილია, რომ ისიც და სხვა ჩოგბურთელებიც თამაშის დროს ვერ იტანენ მაყურებელთა უადგილო შეძახილებს და გადამეტებულ ქომაგობას. საჩოგბურთო მატჩი არ ჰგავს სხვა სახეობებში შეხვედრებს, სადაც მაყურებლის ემოციები ერთგვარ სამსახურსაც კი უწევს სპორტსმენს. ჩოგბურთში მეტოქეები სიმფონიური ორკესტრის სოლისტებს უფრო ჰგვანან და საკმარისია დარბაზში უადგილო ხმაური ატყდეს, რომ რომელიმე უთუოდ გამოვა წონასწორობიდან. მეტრეველისა და ბარანიის მატჩის მეორე პარტიაში მაყურებელი აშკარად ზედმეტად აქტიურობდა, რამაც სწორედ მეტრეველზე იმოქმედა უარყოფითად. ეს უთუოდ უნდა გაითვალისწინოს მეტრეველის ზოგიერთმა „ახალბედა ქომაგმა".

მეტრეველს არც მესამე პარტიაში გამოსდიოდა თამაში. საკმარისია ითქვას, რომ აქ მან ორი საკუთარი მოწოდება წააგო და, როცა ხელს აგებდა ანგარიშით 2:3, სწორედ მაშინ გამოიბა მგლის მუხლი: მოიგო ბარანიის მოწოდება, შემდეგ თავისიც და დაწინაურდა — 4:3. მაგრამ ამ დროს ბინდი მოახლოვდა და თამაში მეორე დღისთვის გადაიტანეს.

ჯ. ენუქიძე.

* * *

გუშინ წვიმის გამო შეხვედრები არ შემდგარა.



სურათზე: სათამაშოდ გამოდიან ხ. ბარანიი (წინ) და ა. მეტრეველი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ავტორალი —72

მოსკოვი, 5 მაისი. დღეს აქ სტარტი მიეცა IV ავტორალის — „მოსკვიჩ-72"-ს, რომელსაც ტრადიციულად აწყობს ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხანა. რალის 3000-კილომეტრიანი ტრასა გაივლის მოსკოვის, ვლადიმირის და ივანოვოს ოლქების გზებზე. წლევანდელ რალიში გამარჯვებულებისთვის დაწესებულია სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის ვ. ვოლკოვის სახელობის პრიზი. ეს არის მთავარი ჯილდო. დაწესებულია სხვა პრიზებიც.




# სტარტზეა ლენტეხი!

- ხალხური სახეობა კომპლექსში
- ნორმატივებს აბარებენ კოლმეურნე, პედაგოგი, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე...
- სად ჩავაბაროთ ცურვის ნორმატივები? მაგალითს სასაშელი ახალგაზრდები იძლევიან

**ვანეთში** სპორტს დიდი პროპაგანდა არ სჭირდება, ოღონდ რაიმე ღონისძიება ჩატარდეს და უმალვე ქუდზე კაცი გამოდის.

ლენტეხის რაიონული ცენტრიდან სოფელ ხოფურში დავრეკეთ. დღეს რესპუბლიკურ ფრენბურთელებს ვმასპინძლობთ, ხვალ გვეწვიეთო, — გვთხოვეს სასოფლო საბჭოდან. რაიონის ფიზკულტურის მუშაკებთან ერთად მაინც იმავე დღეს გავემგზავრეთ ხოფურში. მეზობელი სოფლის სპორტსმენებს ოფიციალური შეხვედრა უკვე დაემთავრებინათ და ახლა სანუკვეშო ხელს თამაშობდნენ. უამრავი მაყურებელიც ფეხს არ იცვლიდა.

თამაში დამთავრდა თუ არა, ბირთვის კვრაში, ხელყუმბარის ტყორცნასა და ხტომაში გაჩაღდა შეჯიბრება. მერე მაყურებელმა მოითხოვა სარბიელი. ჩვენც ეს გვინდოდა. რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მ. მუკბანიანი, „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე ა. ქურასპედიანი და დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩანქსელიანი უწყისების სახელდახელოდ შევსებას შეუდგნენ.

დიდი და პატარა შესაშური ენთუზიაზმით ჩაება შეჯიბრებაში. ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, ცალ ფეხზე ხტომა და ორმაგი ხტომა ოდითგანვეა გავრცელებული სვანეთში. ბოლო ხანებში ტრადიცია დავიწყებას მისცემია. უნდა გენახათ, რა ენერგიითა და ხალისით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ხანდაზმულები ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში, რაც განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა. მათი სიხარული გაორკეცდა, როცა შეიტყვეს, რომ ეს მამაპაპური სახეობა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის ნორმატივებშია შეტანილი. ადგილობრივი რვაწლიანი სკოლის გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებელი ს. ლიპარტელიანი პირად მაგალითს აძლევდა 40 წელს გადაცილებულ თანასოფლელებს. საუკეთესო შედეგიც ძას ჰქონდა.

შეჯიბრება მთავრდებოდა, როცა სკოლის ეზოში ეტლიანი მოტოციკლი შემოგრიალდა. მანქანიდან გადმოვიდნენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შ. ქურასპედიანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ტვილდიანი და ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი ო. ლიპარტელიანი. 9 მაისს, გამარჯვების დღის აღსანიშნავად, სოფელში სპორტულ ზეიმზე ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაც ყოფილა განზრახული და სოფლის თავკაცები ბაზის საკითხის მოსაგვარებლად სწვევიან მეზობელ სოფელს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ უწყისებს გადახედა. ნიშანში ბირთვის კვრაში ნაჩვენები საუკეთესო შედეგი ამოიღო. ერთხანს ჩაფიქრებული ჩანდა. მერე პიჯაკი გაიხადა და სექტორში ჩადგა. მკლავის ძალის მოსასინჯად ეოთხელ ჰკრა ბირთვი და უმალვე მსაჯები მოიხმო. თავმჯდომარემ პირველივე ცდაზე აჯობა ფიზალზრდის მასწავლებელ თ. ლიპარტელიანს.

მეორე დღეს „ჟიგულით“ შემოვიარეთ რაიონული ცენტრის უბნები. სააგიტაციო მანქანასთან უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ახალი კომპლექსის შესახებ განმარტებითი საუბრის შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადადიოდნენ. მეუადლისთვის ცხენისწყლის პირას სროლაში ნორმატივების ჩაბარება იწყებოდა (თოფები და ვაზნები მანქანის საბარგულში გვეწყო).

დანიშნულ დროს ბევრი მსურველი შეიკრიბა ცხენისწყალთან. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. გულბიანი თავისი ორი ვაჟით ჩაება შეჯიბრებაში. აქვე იყვნენ კოლმეურნეები გ. ზურაბიანი, ჯ. გუგავა, ა. ლობჟანიძე, შ. ლიპარტელიანი და სხვ. ნორმატივები ჩააბარეს თვით ფიზკულტურის მუშაკებმაც. ღონისძიება შესანიშნავად იყო ორგანიზებული და მის ყველა მონაწილესთან ერთად ამ სტრიქონების ავტორიც სასიამოვნო მოგონებისთვის დიდხანს შეინახავს ამ სახეობაში ნორმატივის ჩაბარების ცნობას.

მერე კომპლექსის ესტაფეტა ლენტეხის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. წვიმიანი დღის მიუხედავად, საინტერესოდ და მასობრივად ჩატარდა მარშვარბენი და კროსი, რაც „რაიონული ცენტრის რკალის“ პირველი ღონისძიებაც იყო. ამიერიდან იგი ტრადიციად იქცევა.

სად ჩავაბაროთ ცურვის ნორმატივები? ეს საკითხი ლენტეხელებსაც აღელვებთ და მისი მოგვარებისთვის ამთავითვე ზრუნავენ. როგორც კომკავშირის რაიკომში გვითხრეს, მარშან სოფელ სასაშში ადგილობრივი საშუალო სკოლის მოსწავლეებს მშვენიერი საგუბარი მოუწყვიათ და ცურვაც ყველა ბავშვს უსწავლია. ამ თაოსნობამ რაიონში უკვე მიიღო რეკომენდაცია და მას კომკავშირის რაიკომი გაუწევს ხელმძღვანელობას. თვით ლენტეხის ცენტრში, მდინარე ლასკადურაზე, შეირჩა კარგი ადგილი საცურაო ბაზის მოსაწყობად.

სტარტზეა ლენტეხი!

**თ. გაჩეჩილაძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ლენტეხის რაიონი.

* * *







**სურათებზე:** ხელყუმბარის ტყორცნაში ნორმატივს აბარებს ხოფურელი კოლმეურნე ზ. ლიპარტელიანი; ლენტეხის კოლმეურნეობის ნაკრები (მარცხნიდან) — გ. ზურაბიანი, ჯ. გუგავა, შ. ლიპარტელიანი და ა. ლობჟანიძე სროლაში შეჯიბრების დროს; სტარტზე არიან მოსწავლეები.

ავტორის ფოტოები.

რეგბისტთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

# ფინალისტები გამოვლინდნენ

რეგბიში საქართველოს ჩემპიონატის III ტურის შეხვედრებმა ფინალში მონაწილე გუნდები დაასახელა.

თბილისის „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე მესამე დღეს გამართულ შეხვედრებში ყველაზე პრინციპული იყო მეორე ქვეჯგუფის კოლექტივების — უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების მატჩები „სპარტაკთან“ და თბილისის „ლოკომოტივთან“.

მომავალ ინჟინრებს ამ ტურამდე 3 ქულა ჰქონდათ, მაგრამ წინასწარი ტურნირის ფინიშთან ძლიერ მეტოქესთან ბრძოლა უწევდათ. უნივერსიტეტელები „სპარტაკთან“ გალამწყვეტ მატჩს მხოლოდ ქულით შეხვდნენ, მაგრამ III ტურს იმედით უყურებდნენ.

მართლაც, უნივერსიტეტელებმა „სპარტაკთან“ ბრძოლაში დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს (45:15), მაგრამ ფინალის საგზურისთვის ეს როდი კმაროდა: მათს მეტოქეებს — მომავალ ინჟინრებს თბილისის „ლოკომოტივთან“ დიდი, თანაც „მშრალი“ ანგარიშით უნდა წაეგოთ.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა რკინიგზელთა გუნდის იერიშებს ვერ გაუძლო და დიდი ანგარიშით (8:50) დამარცხდა, მაგრამ „მშრალ წაგებას“ თავი დააღწია და ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით ფინალში გავიდა.

ამ ქვეჯგუფში პირველობა დიდაქალაქის „ლოკომოტივმა“ მოიპოვა, რომელსაც არც ერთი ქულა არ დაუკარგავს და ბურთების საუკეთესო ბალანსიც (152:27) აქვს.

მეორე ქვეჯგუფში პირველობა დაისაკუთრა „დინამომ“, რომელმაც III ტურში თბილისის „ელმავალს“ სძლია (28:3) და ამით მეტოქეს ფინალურ ტურნირში ბრძოლის ყოველგვარი იმედი წაართვა.

დღის ბოლო შეხვედრაში მინდორზე ქუთაისის „ლოკომოტივი“ და თბილისის „სინათლე“ გამოვიდნენ. ქუთაისელი სპორტსმენები ამ ჩემპიონატში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. კოლექტივმა სამივე მატჩი მონდომებით ჩაატარა დაცვისა და იერიშის დროს შეთანხმებულად, გაბედულად თამაშობს, საჭიროების დროს კარგად იყენებს მარაოს, სპორტსმენები ყოველ ბურთზე გაბედულად მიდიან. ამ კარგად შეთამაშებულ ანსამბლში მაინც უნდა გამოვყოთ სოლისტები მ. კავთელაშვილი, ს. ტყეშელაშვილი, ვ. შვანგირაძე და გუნდის დებიუტანტი მ. თოდაძე. ისინი მანამდეც, განსაკუთრებით კი „სინათლესთან“ მატჩში, თავდაუზოგავად იბრძოდნენ და გამარჯვებაში (17:0) დიდი წვლილიც შეიტანეს. ქუთაისელები ფინალში გავიდნენ. თბილისის „ლოკომოტივისა“ და „დინამოს“ (142:19) გარდა, მხოლოდ მათ დაამთავრეს წინასწარი მატჩები დადებითი ბალანსით (66:44).

როგორც ცნობილია, შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში, რომლის დასკვნითი ტური ქუთაისში გაიმართა, „დინამომ“ პირველ ლიგაში თამაშის უფლება დაკარგა. წლეულს კოლექტივს სათავეში ჩაუდგა საქართველოში რეგბის ვეტერანი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. მრელაშვილი. ახლა გუნდი საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს. კოლექტივს დაუბრუნდა ვეტერანი, სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ი. კიზირია. მას და ძველი შემადგენლობის წევრებს ნ. ბუგიანაშვილს, დ. აბაშიძეს, ვ. ზამიჩკინსა და სხვებს მხარი კარგად აუბეს დებიუტანტებმა: ს. ეკალაძემ, ა. მამულაშვილმა, ვ. ძამაშვილმა...

„დინამოს“ ძველი შემადგენლობიდან 10 სპორტსმენის ადგილი წლეულს ახალგაზრდებმა დაიკავეს. გვჯერა, რომ ვეტერანებთან ერთობლივი, შეხმატკბილებული თამაშით ისინი პირველ ლიგას დაუბრუნდებიან.

გუშინ ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს გაიმართება შეხვედრები V-VI (ითამაშებენ ქვეჯგუფებში III ადგილებზე გასული კოლექტივები — „ელმავალი“ და უნივერსიტეტი) და VII-VIII ადგილებისთვის („სპარტაკი“ — „სინათლე“).

ჩემპიონატის პრიზიორებს გამოავლენს 8 და 9 მაისის მატჩები. 8 მაისს „დინამო“ მომავალ ინჟინრებს შეხვდება. თბილისის „ლოკომოტივი“ — ქუთაისელ თანაკლუბელებს. 9 მაისს ითამაშებენ პოლიტექნიკური ინსტიტუტი — ქუთაისის „ლოკომოტივი“ და თბილისის „ლოკომოტივი“ — „დინამო“.

მატჩები 10 საათზე დაიწყება.

**ო. გელაშვილი.**

### ადიგენი

ჩატარდა განათლების განყოფილების საბჭოს სხდომა. მოისმინეს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი ფიზკულტურული კომპლექსისთვის მზადების საკითხები. სხდომას რაიონის სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებიც ესწრებოდნენ. გადაწყდა: ნორმატივები ყველა კოლექტივში მასობრივად ჩაბარდეს. პირველი გამოცდა 50 და 100 მეტრზე რბენაში მოეწყო. ბევრმა ნორმატივები ვერცხლისა და ოქროს სამკერდე ნიშნებზე ჩააბარა.

**ნ. მამულაშვილი,**
**სპორტული სკოლის დირექტორი.**

ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 6 მაისისთვის

### II ჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 6 | 4 | 1 | 1 | 7—2 | 9 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 6 | 4 | 1 | 1 | 9—5 | 9 |
| „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) | 6 | 4 | 0 | 2 | 15—5 | 8 |
| „შირაქი“ (წითელი წყარო) | 5 | 3 | 1 | 1 | 4—2 | 7 |
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 5 | 3 | 1 | 1 | 7—7 | 7 |
| „ვაზი“ (შრომა, გურჯაანი) | 4 | 3 | 0 | 1 | 11—4 | 6 |
| „მევენახე“ (ბოლნისი) | 4 | 2 | 2 | 0 | 7—5 | 6 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 5 | 2 | 1 | 2 | 6—6 | 5 |
| „კოლმეურნე“ (ტიბაანი) | 6 | 2 | 1 | 3 | 10—11 | 5 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 6 | 2 | 1 | 3 | 5—10 | 5 |
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 6 | 2 | 1 | 3 | 6—12 | 5 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 5 | 1 | 2 | 2 | 3—4 | 4 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 6 | 1 | 2 | 3 | 5—7 | 4 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 6 | 2 | 0 | 4 | 4—7 | 4 |
| „ბარისი“ (თეთრი წყარო) | 4 | 1 | 0 | 3 | 5—8 | 2 |
| „შევარდენი“ (თბილისი) | 5 | 0 | 2 | 3 | 3—6 | 2 |
| „თრიალეთი“ (წალკა) | 5 | 1 | 0 | 4 | 6—12 | 2 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მადაროელი“ (ჭიათურა) | 5 | 5 | 0 | 0 | 12—3 | 10 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 5 | 4 | 1 | 0 | 15—1 | 9 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 5 | 3 | 2 | 0 | 9—2 | 8 |
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 6 | 4 | 0 | 2 | 10—7 | 8 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 6 | 4 | 0 | 2 | 10—8 | 8 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 6 | 3 | 1 | 2 | 13—8 | 7 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 5 | 3 | 0 | 2 | 3—4 | 6 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 4 | 2 | 1 | 1 | 14—3 | 5 |
| ხდკ (სამტრედია) | 4 | 1 | 2 | 1 | 4—4 | 4 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 6 | 2 | 0 | 4 | 4—10 | 4 |
| „მზიური“ (გალი) | 5 | 2 | 0 | 3 | 2—10 | 4 |
| „სალხინო“ (მაიაკოვსკი) | 4 | 1 | 1 | 2 | 9—7 | 3 |
| „კახაბერი“ (ხელვაჩაური) | 6 | 1 | 1 | 4 | 6—17 | 3 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 4 | 0 | 2 | 2 | 5—6 | 2 |
| „კომეტა“ (ფოთი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—1 | 1 |
| „დიოსკურია“ (სოხუმი) | 6 | 0 | 1 | 5 | 6—13 | 1 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 5 | 0 | 1 | 4 | 2—21 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოგზაურობა დარბაზიდან დარბაზში

წლეულს ჩვენი რესპუბლიკის „კლასიკოსთა" ნაკრებში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: გუნდი შესამჩნევად გაახალგაზრდავდა და ნიჭიერი, პერსპექტიული ათლეტებით შეივსო. ცხადია, ნაკრების ყოველი გამოსვლა სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს.

ერთი ასეთი გამოცდა ჩვენს გუნდს ამას წინათ ჰქონდა ფალავანთა კლუბში. მისი მეტოქე უნგრეთის პროფკავშირთა ნაკრები იყო, კოლექტივი, რომელიც საკმაო წარმატებით გამოდის საერთაშორისო სარბიელზე. ქართველმა მოჭიდავეებმა ალმაცერობით ჩაატარეს ეს პასუხსაგები შეხვედრა და გაიმარჯვეს — 8:2.

უმჩატეს წონაში ჭიდაობდნენ ა. ჩალაური და მ. დიულაი. პირველ პერიოდში ქართველმა სპორტსმენმა ორქულიანი ილეთი გაუკეთა მეტოქეს, ბოლო ორი პერიოდი კი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორთაბრძოლა მაინც ქართველმა ათლეტმა მოიგო.

მჩატე წონაში საქართველოს ნაკრებმა ადგილი ვეტერან ზ. შეყრილაძეს ანდო. მისი მეტოქე ლ. მარტონი გახლდათ. ვეტერანმა დიდი უპირატესობით წარმართა ბრძოლა და აშკარად დაჯაბნა მეტოქე. შეყრილაძემ 11 ქულა აართვა უნგრელს, ისე, რომ თვითონ ერთხელაც არ წამოჰგებია ილეთს.

ქვემსუბუქ წონაში ი. კიში და ლ. გაბისიანი ჭიდაობდნენ. ამ უკანასკნელისთვის ეს გამოსვლა დებიუტი იყო საერთაშორისო სარბიელზე. დებიუტანტმა წარმატებით გაართვა თავი ამოცანას და გაიმარჯვა.

მომდევნო წონით კატეგორიაში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა ჯ. მეგრელიშვილმა ბეჭებზე დასცა ი. სიური.

პირველ ქვესაშუალო წონაში ჩვენი ნაკრების ღირსებას იცავდა მსოფლიოს ოთხგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. რურუა. მის გამოსვლას დამსწრენი ტაშით შეხვდნენ. ფავორიტმა გაამართლა გულშემატკივართა იმედი და მე-6 წუთზე კ. მორარი ხალიჩას გააკრა.

მეორე ქვესაშუალო წონაში თ. ლეჟავასა და მ. ტომას ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ პირველი საშუალო წონის ათლეტი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ვ. ხანდოლიშვილი. იგი შემტევი სტილის მოჭიდავეა და თავის პრინციპებს არასდროს ღალატობს. ასე იყო გ. კერეშთან შეხვედრაშიც. უნგრელმა ვერ გაუძლო მეტოქის გამუდმებულ იერიშებს და დამარცხდა.

ფრედ დამთავრდა თ. ტყემალაძე — ი. შელვაის (მეორე საშუალო წონა), რ. მოსეშვილ — პ. ნადის (ქვემძიმე) და თ. ქურციკიძე — ვ. ურბანის (მძიმე) ორთაბრძოლები.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საინტერესო ტურნირის ორგანიზაცია არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. თავდაპირველად ასპარეზობის ჩატარება ლენინის სახელობის სპორტდარბაზში იყო დაგეგმილი, მაგრამ იქ ვერ მოახერხეს წესიერი საჭიდაო სარბიელის მოწყობა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ მონაწილენი ლენინის დარბაზიდან ფალავანთა კლუბში გადავიდოდნენ. მათ, რა თქმა უნდა, მაყურებლებიც გაჰყვნენ. საერთოდ კი უნგრეთისა და საქართველოს მოჭიდავეთა ამხანაგურ მატჩს გაცილებით მეტი მაყურებელი ეყოლებოდა, ქალაქში აფიშები რომ ყოფილიყო გაკრული.

ვ. ქოგელაშვილი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — რ. რურუა მორიგ ილეთს უტარებს კ. მორარის; მარჯვნივ — ზ. შეყრილაძეს კრიტიკულ მდგომარეობაში ჰყავს რ. მარტონი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# მინგეჩაურის წყალსაცავზე

შავი ზღვის რეგატის დამთავრებისთანავე საუკეთესო ეკიპაჟები გაემგზავრნენ მინგეჩაურის რეგატაში საასპარეზოდ, სადაც საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები და სხვა უძლიერესი სპორტსმენებიც უნდა გამოსულიყვნენ. საქართველოდან მინგეჩაურს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პრიზიორებმა — რვაადგილიანისა და უმესაჭო ოთხადგილიანის ეკიპაჟებმაც მიაშურეს. ეს შეჯიბრება ფაქტიურად სსრ კავშირის აკადემიური ნიჩბოსნების წლევანდელი პირველი დიდი შემოწმება გახლდათ და ამიტომ თავს არავინ ზოგავდა.

მონაწილენი სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაიყვნენ. პირველ ჯგუფში ქვეყნის ნაკრების წევრები და კანდიდატები გამოდიოდნენ (საქართველოს ნიჩბოსნებიც ამ ჯგუფში ჩაირიცხნენ), მეორეში — ყველა დანარჩენი. პირველი ჯგუფის წევრები ტურნირში უკონკურსოდ ასპარეზობდნენ.

ყველა კლასის ნავებისთვის პირველ დღეს 4000-მეტრიანი დისტანცია მოეწყო. მიზანი სპორტსმენთა საერთო ფიზიკური მომზადებისა და გამძლეობის შემოწმება იყო.

ერთადგილიანებით ტურნირში ქვეყნის ნაკრების 7 წევრიც გამოდიოდა. ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო მოსკოველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ი. მალიშევმა, რომელმაც 2000-მეტრიან მონაკვეთზე უახლოეს მეტოქეს, თანაქალაქელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გ. კორშიკოვს 7 წამი მოუგო. კიდევ 1000 მეტრის შემდეგ მალიშევი უფრო დაწინაურდა: კორშიკოვს ახლა 15 წამს უგებდა. საბოლოოდ გამარჯვება მალიშევს დარჩა — 16.52,0. კორშიკოვს კაუნასელმა სპორტის ოსტატმა ვ. ბუტკუსმაც აჯობა—17.01,0. კორშიკოვი მას წამით ჩამორჩა. რეგატაში პირველობა ბაქოს დინამოელს, პირველთანრიგოსან ვ. კვაშინს მიეკუთვნა (18.54,0), თუმცა მასზე უკეთესი შედეგები ნაკრების სხვა წევრებმაც აჩვენეს.

4000-მეტრიან მანძილზე ყველაზე საინტერესო რვაადგილიანი ნავებით რბოლა გამოდგა. პირველი ჯგუფის ფავორიტები საქართველოს, ლენინგრადისა და კოლომნის ეკიპაჟები იყვნენ. საქართველოს გუნდს ავადმყოფობის გამო გამოაკლდა ძირითადი წევრი ბ. ხურციძე, რომელიც სტარტის წინ სათადარიგო ნიჩბოსანმა ვ. არუთინიანმა შეცვალა. გადახალისებულმა კოლექტივმა დაწინაურება მაინც შეძლო. 2000 მეტრზე კოლომნის გუნდს ჩვენები (6.14,0) 6 წამს უგებდნენ, მაგრამ შემდეგში ხურციძის შემცვლელს, რომელსაც სათანადო ფიზიკური მომზადება არ აღმოაჩნდა, ძალამ უმტყუნა, მისი როლის სიმძიმეც თანაგუნდელებმა გაინაწილეს და 3000-მეტრიანი მონაკვეთის ფინიშთან მხოლოდ წამსლა იგებდნენ. როცა ფინიშამდე 500 მეტრი დარჩა, არუთინიანი ბრძოლას მთლიანად გამოეთიშა — ნიჩბები გააჩერა და თყითონაც თანაგუნდელებს დააწვა ტვირთად. ამან კოლომნელებს გამარჯვება მოაპოვებინა — 13.16,0. საქართველოს ნიჩბოსნებმა II ადგილი დაიკავეს (13.20,0), ლენინგრადელებს 8 წამი მოუგეს.

უმესაჭო ოთხადგილიანებით ტურნირში ნაკრების კანდიდატებიდან (4 ნავი) ყველას აჯობეს მოსკოველებმა, რომელთა მენიჩბე სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ტკაჩუკი იყო — 14.24,0. საქართველოს ეკიპაჟი (მენიჩბე — სპორტის ოსტატი ო. ბერაია) ფინიშთან მეოთხე მივიდა (14.41,0), თუმცა ყაზახეთის გუნდს, რომელსაც I ადგილი მიეკუთვნა, 35 წამით აჯობა.

მთავარი ბრძოლები მაინც მეორე დღეს კლასიკურ დისტანციაზე (2000 მ) გაიმართა. სტარტამდე საქართველოს გუნდის ხელმძღვანელობა სპორტსმენებს ესაუბრა. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე და ნიჩბოსანთა მთავარი მწვრთნელი ა. არხანგელსკი ლაპარაკობდნენ საომრისო ამოცანებზე. მათ აღნიშნეს, რომ აქ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ წინ კიდევ რამდენიმე დიდი ტურნირია, რომელთაგან განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა კალინინის (13-14 მაისი), მოსკოვის (3-4 ივნისი და 28-29 ივნისი) რეგატები. ამ უკანასკნელ შეჯიბრებაში I-VIII ადგილებზე გასულნი დაიშვებიან საკავშირო ჩემპიონატში (მოსკოვი, 20-23 ივლისი), რომელმაც საერთაშორისო ტურნირებისა და მიუნჰენის ოლიმპიადის საგზურების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვიტოს.

საქართველოს გუნდები მინგეჩაურში საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად ჩავიდნენ და განზრახვა აისრულეს კიდეც. ერთადგილიანი ნავების ფინალურ ტურნირში აშკარა იყო მოსკოველი სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ტიმოშინინის უპირატესობა — 8.05,2. ლენინგრადელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ა. ჰასანჯალალოვს მან 29,6 წამით აჯობა.

უმესაჭო ოთხადგილიანებით შეჯიბრებაში საქართველოს ეკიპაჟი გამარჯვებისთვის თავგამოდებით იბრძოდა. 1000 მეტრზე იგი ლიდერთან, მოსკოველთა ნავთან მხოლოდ 3 წამს აგებდა, მაგრამ შემდეგ უფრო ჩამორჩა, 2000 მეტრის გავლას 7.07,4 მოანდომა და II ადგილს დასჯერდა. მოსკოველთა შედეგია 6.51,5. სამაგიეროდ, საქართველოს სპორტსმენებმა მესამე პრიზიორს, ყაზახეთის კვარტეტს (მენიჩბე — სპორტის ოსტატი ვ. მორდუნოვი) 8,2 წამი მოუგეს.

ოქტეტების ტურნირში საქართველოს ნავის ეკიპაჟს ამჯერად ბადალი არ ჰყავდა. ჩვენი ნიჩბოსნები წუთში 36 მოსმას ასწრებდნენ, მეტოქენი — 34-ს. ამან საქართველოს სპორტსმენებს სტარტიდანვე დაწინაურების საშუალება მისცა. შუა დისტანციის მერე უახლოესი მეტოქე, მასპინძელთა ნავი, მათ 26 წამის სავალით ჩამოიტოვეს. დარჩენილ 1000 მეტრზე ლიდერსა და დანარჩენ ნავებს შორის სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა, რაც საბოლოოდ თითქმის 55 წამში გამოისახა. საქართველოს ნავმა 2000 მეტრის გავლას 6 წუთი და 20,8 წამი მოანდომა, აზერბაიჯანის ნავმა კი, რომელმაც მეორე შედეგი აჩვენა, 7.15,6.

საქართველოს რვაადგილიანის ეკიპაჟს სპეციალური პრიზი გადაეცა.

ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსნებმა სეზონის პირველი დიდი გამოცდა კარგად ჩააბარეს.

გთავაზობთ ასპარეზობის სხვა საუკეთესო ტექნიკურ შედეგებს. **2000 მ. ორადგილიანი უმესაჭო.** ბელორუსიის გუნდი (მენიჩბე — სპორტის ოსტატი ვ. ივანოვი) — 8.20,4. **ორადგილიანი მესაჭით.** ლენინგრადი (მესაჭე — პირველთანრიგოსანი ს. დიაკოვი) — 8.22,4. **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** აზერბაიჯანი (მენიჩბე— სპორტის ოსტატი ვ. პარფიონოვი) — 7.13,2. **ოთხადგილიანი მესაჭით.** მოსკოვი (მესაჭე — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ტკაჩუკი) — 7.30,8. **4000 მ. ორადგილიანი უმესაჭო.** ლენინგრადი (მენიჩბე — სპორტის ოსტატი ვ. პოლიაკოვი) — 16.28,0. **ორადგილიანი მესაჭით.** ლენინგრადი (მესაჭე — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. ეშინოვი) — 16.50,2. **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** აზერბაიჯანი — 18.25,0. **ოთხადგილიანი მესაჭით.** სსრ კავშირის ნაკრები (მესაჭე — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ფიოდოროვი) — 14.32,4.

ლ. ხეცურიანი,
შეჯიბრების მდივანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მინგეჩაური.

[illegible]

## ჩხოროწყუ

სკოლა-ინტერნატში ჩატარდა რაიონის რვაწლიანი სკოლების მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა. ჩემპიონის სახელი მასპინძლებმა დაისაკუთრეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ ამავე სკოლის მოსწავლეები: გოგონებში — მ. წურწუმია, ჭაბუკებში — გ. გოგუა.

* * *

დიდი ინტერესი გამოიწვია სკოლა-ინტერნატის პირველობამ მაგიდის ჩოგბურთში. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ს. ხუბუნიამ.

ს. ჯალაღონია.



ოლიმპიურ სეზონში აშშ-ს კალათბურთელები ბევრს მოგზაურობენ საზღვარგარეთ, მაგრამ ყველაზე დიდი ხალისით სსრ კავშირში ჩამოდიან. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან ამ საინტერესო თამაშის ფუძემდებლებს ოლიმპიადის უმაღლესი მედლებისთვის ბრძოლაში სწორედ საბჭოთა კალათბურთელები მიაჩნიათ ყველაზე ნაღდ მეტოქეებად. მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის ამბავი, რომ ტურნეს მონაწილე სპორტსმენთაგან ოლიმპიურ გუნდში, როგორც წესი, მხოლოდ ორი-სამი კალათბურთელი ხვდება.

მოსკოვში ჩამოსვლისთანავე ამერიკელთა მწვრთნელმა ფ. დევისმა განაცხადა, რომ გუნდის თორმეტი წევრიდან ცხრა მიწვეული იყო წინაოლიმპიურ შეკრებაზე, მაგრამ რომელი მათგანი მოხვდება ნაკრებში, ძნელი სათქმელიაო. სსრ კავშირში მყოფი გუნდის არც ერთ წევრს საბჭოთა კა- [illegible] ლი" და „მიღებული" ქულების ბალანსი ამერიკელთა სასარგებლოდაა — 562:553. ამერიკელები ორჯერ დამარცხდნენ სსრ კავშირის კლუბების ნაკრებთან — 83:100 და 66:82. სამაგიეროდ, მათ მოიგეს ორთაბრძოლები მოსკოვის (91:84), უკრაინის (82:78), ლიტვის (90:69) და ესტონეთის (70:65 და 80:75) ნაკრებ გუნდებთან. როგორც ხედავთ, ამერიკელთა გუნდი ღირსეული პარტნიორია.

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს 2 მაისს ტალინში გამართული შეხვედრის ოქმი, მაგრამ 6 შეხვედრის მიხედვითაც შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა ამ გუნდის ლიდერებზე: ამერიკელთა შორის ყველაზე შედეგიანია კრენშო (სიმაღლე 195 სმ), რომელმაც ექვს მატჩში თავის კოლექტივს 103 ქულა შესძინა. ეფექტური თამაშით გამოირჩევიან პოპოვიჩი (185 სმ) და გიგანტთა ტრიო ნიუტონი (205), ხოუტრისი (205) და ჰარსონსი (208) [illegible]

[illegible] შ. მანიძის მიერ შესრულებული შარჟები. მარცხნიდან — ფ. დევისი (მწვრთნელი), დ. ხოუტრისი, ბ. კუისი და დ. პენდერი.

ჭადრაკი

# პრობლემისტებო, „სოფლის ცხოვრება" გიწვევთ!

გაზეთ „სოფლის ცხოვრების" საჭადრაკო კლუბმა ამას წინათ საჭადრაკო ამოცანების შედგენაში საკავშირო კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ სოფლის პრობლემისტები არიან მიწვეული.

კონკურსის პირობებში ნათქვამია: კონკურსი ცხადდება ორ განყოფილებად — ორ და სამსვლიანი ამოცანების შედგენაში; კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვინც სოფლად ცხოვრობს; ერთი ავტორისგან თითოეულ განყოფილებაში მხოლოდ ორი ამოცანა მიიღება; ამოცანები ორიგინალური და პრესაში გამოქვეყნებული არ უნდა იყოს; თითოეულ ამოცანას (დიაგრამაზე დახატულს) უნდა დაერთოს ავტორისეული ამოხსნა, აგრეთვე, ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, სამსახურის ადგილი და ბინის მისამართი; გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამ-სამი ფასიანი საჩუქარი, ხუთ-ხუთი საპატიო და საქები შეფასება თითოეულ განყოფილებაში.

კონკურსის ჟიურიში არიან — მსაჯი, სსრ კავშირის ჩემპიონი და საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში ი. ვლადიმიროვი (მოსკოვი) და მსაჯი-ორგანიზატორი, „სოფლის ცხოვრების" საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელი თ. გიორგაძე (თბილისი).

საკონკურსო ამოცანები უნდა გამოიგზავნოს 1972 წლის 1 სექტემბრამდე (საფოსტო შტემპელით) შემდეგი მისამართით: 380008, თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქცია. კონვერტზე უნდა გაუკეთოთ წარწერა: „საჭადრაკო კონკურსზე".

# „დინამოს" ნორჩი ჩემპიონები

ლატვიის ქალაქ ლიეპაიაში ამას წინათ ჩატარდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკეთა გუნდური ჩემპიონატი. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა მოსკოვის, II — უკრაინისა და III — საქართველოს კოლექტივებმა.

წარმატებით ითამაშეს საქართველოს გუნდის წევრებმა, ოსტატობის კანდიდატმა გენადი ზაიჩიკმა და პირველთანრიგოსანმა მარეხ დათაშვილმა. მათ თავიანთ დაფებზე I ადგილი დაიკავეს და „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ჭაბუკთა და გოგონათა შორის.

ნ. გურტოვოი.

ლიეპაია.

• • •

სურათებზე: მ. დათაშვილი და გ. ზაიჩიკი.

ავტორის ფოტოები.





# ერევანსა და ბაქოში

აპრილის მიწურულს საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი (გ. მაჭარაშვილი, ვ. პეტუხოვი, გ. ზაიჩიკი, ე. აფრიდონიძე, ზ. ზამბახიძე, ე. კუშიანი, მზია წერეთელი, მაია ჩიბურდანიძე) თანატოლებთან ამხანაგური მატჩების სათამაშოდ ერევანსა და ბაქოს ეწვია.

ერევანში სომხეთის მოსწავლეთა ნაკრებთან ჩვენმა მოჭადრაკეებმა სამი მატჩი ითამაშეს და გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 17:7. აზერბაიჯანელ თანატოლებთან ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორი შეხვედრის ანგარიშია 8:8.

ჩვენი მოჭადრაკეებიდან ყველაზე წარმატებით გოგონებმა ითამაშეს: ხუთ შეხვედრაში წერეთელმა 4,5 ქულა მოაგროვა, ჩიბურდანიძემ — 3,5.

გათამაშებული პარტიების გულდასმითი ანალიზი უთუოდ ხელს შეგვიწყობს მოსწავლეთა XII საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებაში.

გ. მაჭავარიანი,
საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

## ეტიუდი

დ. გურგენიძე

(თბილისი)



თეთრები ყაიმს აღწევენ

## შეამოწმეთ თქვენი ამოხსნა

„ლელოს" 23 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული რ. დადუნაშვილის (ქუთაისი) ეტიუდი სწორად ამოხსნეს: ს. ჟვანიამ (თბილისი), ს. ასათიანმა (მოსკოვი) და რ. გურულმა (ზესტაფონის რაიონი, ქვედა საქარა).

ამოხსნა: 1. ლh5+ მ:h5 2. fe+ მფg6 3. კc2+ მფg5 4. ეf5+ მფg6 5. ეf6+ მფg5 6. ეg6+ მფh4 7. ეe4+ მf4 8. ე:f4+ მფh5 9. g3 და 10. ეh4×.

გაზეთის ამავე ნომერში მოთავსებული ა. ალიოხინის ერთ-ერთი პარტიის დაბოლოების სწორი პასუხი გამოგზავნეს: ვ. ნიშნიანიძემ (თერჯოლის რაიონი, ახალი თერჯოლა), ნ. ერემაძემ (თბილისი) და ლ. ხუბწარიამ (წულუკიძე).

აი, შამათი როგორ ცხადდება: 1. ლh5+ მ:h5 2. fe+ მფg6 3. კc2+ მფg5 4. ეf5+ მფg6 5. ეf6++ მფg5 6. ეg6+ მფh4 7. ეe4+ მf4 8. ე:f4+ მფh5 9. g3 და 10. ეh4×.

# სპორტული მაისი

გაზაფხულის ბოლო თვე ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

### აკრობატიკა

28. სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება (ბულგარეთი).

### აფროსნობა

7-15. შავი ზღვის რეგატა (ტუაფსე).
12-19. ევროპის ჩემპიონატი „ტემპესტის" კლასში (საფრანგეთი).
30. V-12. VI. საერთაშორისო შეჯიბრება — „კილის რეგატა" (გფრ).

### ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა

24-26. საკავშირო შეჯიბრება (ერევანი).

### ველოსპორტი

7-20. მშვიდობის XXV ველორბოლა (გდრ, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი).
23-24. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე (ტულა).
30. V-3. VI. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე — „პოლონეთის დიდი პრიზი" (პოლონეთი).
31. V-2. VI. საკავშირო შეჯიბრება ტრეკზე (ტულა).

### თანამედროვე ხუთჭიდი

7-9. სსრ კავშირის თასი (ნალჩიკი).

### კლასიკური ჭიდაობა

7-8. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ულიანოვსკი).

### მაგიდის ჩოგბურთი

13. სსრ კავშირის თასი (მოსკოვი).

### მძლეოსნობა

7. საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია).
19-20. საერთაშორისო შეჯიბრება — „რიგის თასი" (რიგა).
23-24. საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ნაროდნა მლადეჟის" პრიზზე (ბულგარეთი).

### მხატვრული ტანვარჯიში

18-21. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ტალინი).

### სამოტოციკლო სპორტი

7. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „250-ანების" კლასში (ჰოლანდია).
14. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „250-ანების" კლასში (ჩეხოსლოვაკია).
14-21. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „500-ანების" კლასში (შვეცია და საფრანგეთი).
20-21. მსოფლიო ჩემპიონატი წიდოვან ბილიკზე რბოლაში (უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გფრ).
28. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „250-ანების" კლასში (იუგოსლავია).

### სასტენდო სროლა

7-15. ევროპის ჩემპიონატი (ესპანეთი).
18-21. საკავშირო შეჯიბრება (მახარაძე).

### საცხენოსნო სპორტი

25-29. საერთაშორისო შეჯიბრება (ვილნიუსი).

### ტანვარჯიში

7. გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (გფრ).
10-12. გდრ-ისა და სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩი (გდრ).
11-13. ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდების მატჩი (ჩეხოსლოვაკია).
20-21. იუნიორთა (გოგონები — 16 წლამდე, ბიჭები — 20 წლამდე) ნაკრები გუნდების შეჯიბრება (უნგრეთი).

### ტყვიის სროლა

11-15. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (გდრ).

### ფარიკაობა

7. ესპადრონში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი (უნგრეთი).
22-26. საკავშირო შეჯიბრება. მეორე ტურნირი (სოხუმი).

### ფეხბურთი

11. ევროპის იუნიორთა პირველობა. მეოთხედფინალი. გფრ — სსრ კავშირი (გფრ).
11-23. უეფა-ს ტურნირის ფინალი (ესპანეთი).
13. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. სსრ კავშირი — იუგოსლავია (მოსკოვი).
24. უნგრეთისა და სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები გუნდების მატჩი (უნგრეთი).
24. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. „დინამო" (მოსკოვი) — „გლაზგო რეინჯერსი" (ბარსელონა, ესპანეთი).
25. XX ოლიმპიური თამაშების შესარჩევი მატჩი: საფრანგეთი — სსრ კავშირი (საფრანგეთი).
26. გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (გფრ).

### ფრენბურთი

7-15. იაპონიისა და სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება (იაპონია).
16-30. იაპონიისა და სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება (იაპონია).

### შაში

7-23. მსოფლიო ჩემპიონატი (ჰოლანდია).

### ძალოსნობა

7-8. რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ჩემპიონატი (საფრანგეთი).
13-21. ევროპის ჩემპიონატი (რუმინეთი).

### ძიუდო

11-14. ევროპის ჩემპიონატი (ჰოლანდია).

### წყალბურთი

7-15. იტალიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (იტალია).
22-26. სსრ კავშირისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (კიევი).

### წყალში ხტომა

14. გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (გფრ).
19-21. სსრ კავშირის ჩემპიონატი და პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის ერთმეტრიანი ტრამპლინიდან და 7,5-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში (დუშანბე, თბილისი).

### ჭადრაკი

10. V-18. VI. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი (რიგა).
15-23. რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ჩემპიონატი (ბულგარეთი).

### ხელბურთი

13-21. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი. „ა" კლასის პირველი ჯგუფი (ვილნიუსი).

# გუშინ...

თბილისის კიროვის სახელობის პარკის ხელბურთის სტადიონზე დაიწყო სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური შეჯიბრება ხელბურთში. გთავაზობთ I ტურის ორი მატჩის შედეგებს: ვაჟები. თბილისი — სოხუმი 31:10 (12:4); ქალები. ბათუმი — ქუთაისი 13:14 (6:7).

# მცირე ცვლილებებით

„ლელოს" 1971 წლის 10 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო შედეგები საჭადრაკო ამოცანების შედგენაში „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს რესპუბლიკური კონკურსისა, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ეძღვნებოდა. კომპოზიციების შემოწმების ვადა ამოიწურა. ჟიურის წევრებმა რ. თავარიანმა, თ. გიორგაძემ და გ. ხოშტარიამ რედაქციას აცნობეს:

— კონკურსის გადაწყვეტილებები ძალაში შევიდა, ოღონდ მცირე ცვლილებებით. „ლელოს" მკითხველებმა აღმოაჩინეს, რომ გ. მოსიაშვილის (ხაშურის რაიონი, სოფ. ვაკა) ორსვლიანი ამოცანა-მინიატურა, რომელსაც მეორე პრიზი მიენიჭა, „ფიდე-ს ალბომის" (1959-1961 წ.წ.) № 48 ამოცანას დაემთხვა. ამიტომ მოსიაშვილის ამოცანა კონკურსიდან მოიხსნა. ამ განყოფილებაში მოიხსნა, აგრეთვე, შ. სუხიტაშვილის (გორი) ამოცანა (პირველი საპატიო შეფასება), ვინაიდან იგი 1956 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" ყოფილა დაბეჭდილი.

ამრიგად, „კოლმეურნის" კონკურსის ჯილდოები ორსვლიან ამოცანა-მინიატურებში ასე დამტკიცდა: პირველი პრიზი — გ. მოსიაშვილი, მეორე — ვ. კალანდაძე (თბილისი), მესამე — ჯ. მახათაძე (ზესტაფონი); პირველი საპატიო შეფასება — გ. კუთარაშვილი (გორის რაიონი, სოფ. ახალსოფელი), მეორე — ნ. ფანჯიკიძე (წალვერი), მესამე — დ. გურგენიძე (თბილისი).

ორ და სამსვლიანი ამოცანების კონკურსში ჟიურის გადაწყვეტილებები („ლელო". 1971 წ. № 203) უცვლელი რჩება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


თბილისის ცირკი

8 მაისი

კრივი

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო თასის გათამაშება

თბილისი — ორჯონიკიძე

დასაწყისი 20 ს.



თბილისის ცენტრალური ველოსტადიონი

(უნივერსიტეტის ქ., საბურთალო)

9 მაისი

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზის გათამაშება.

პროგრამაშია სპრინტი, გიტი 200 და 500 მეტრზე და სხვ.

მონაწილეობენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ო. ფხაკაძე, მსოფლიოს 1971 წლის პირველობის პრიზიორი ს. კრავცოვი, სსრ კავშირის პირველობების პრიზიორები ი. ცელოვალნიკოვი, ვ. სემენეცი, ვ. ტრიფონოვი, ა. პოლეტაევი და სხვ.

დასაწყისი 17 ს.


## თბილისის სპორტული ზეიმები

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 9 მაისი. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი). დასაწყისი 12 ს. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი). 14 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი). 17 ს. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 9 მაისი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი). 11 ს. „ისნის" სტადიონი. „განთიადი" (თბილისი) — „ავაზა" (თბილისი). 14 ს. გლდანის სტადიონი. „სპორტინტერნატი" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი). 17 ს.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. — უე 02580